



პატივცემულო ბატონებო ომაროვი, სმოლენსკი, შჩეგოლი და ქ-ნო მუჯირი!

მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღეთ FCI -ს ოფისში გამართულ შეხვედრაში სამშაბათს, 2017 წლის 14 თებერვალს.

ვთვლით, რომ ეს იყო სწორედ ის მომენტი, როდესაც შეგვეძლო განვეხილა ყველა მოსაზრება, დადებითი და უარყოფითი ნიუანსები იმ სიტუაციისა, რომელშიც საქართველოს კინოლოგია იმყოფება.

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ FCI-ს მმართველმა საბჭომ დაამტკიცა ქმედებათა გეგმა და შესაბამისი გრაფიკი, რომელიც შემდგომში ზუსტად უნდა შესრულდეს, და რომლის წყალობით საქართველოს კინოლოგიას და ძაღლების მოყვარულებს დაუბრუნდება სიმშვიდე, ენთუზიაზმი და ის წარმატებულად განაგრძობს მუშაობას თქვენს ქვეყანაში.

შემდეგი ქმედებები უნდა განხორციელდეს ჩვენი შეხვედრის დამთავრებისთანავე:

არაუგვიანეს; 2017 წლის 28 თებერვლისა: სამუშაო ჯგუფის შექმნა, 3-3 კაცი ყოველი მხრიდან, რომ შეიტანოთ შესწორებების შეთავაზება FCG-ს წესდებაში.

2017 წლის 1 მარტიდან – 2017 წლის 30 აპრილი: ჯგუფი მუშაობს შემოთავაზებულ შესწორებებზე.

2017 წლის 30 აპრილი: FCG აცხადებს გენერალური ასამბლეის რიგგარეშე სხდომას.


2017 წლის 7 ივნისი: გენერალური ასამბლეის რიგგარეშე სხდომაზე შესწორებული წესდების დამტკიცება (ან არა). გენერალური ასამბლეის სხდომა უნდა ჩატარდეს მოქმედი წესდების შესაბამისად (ანუ, 8 წევრი + 5 ასამბლეის წევრი ხმის მიცემის დროს). შეხვედრას JH დაესწრება.

2017 წლის 1 ივლისი: გენერალური ასამბლეის მეორე რიგგარეშე სხდომა დაეთმობა ახალი მმართველი საბჭოს დანიშვნას, ახალი წესდების თანახმად. JH-ს დასწრება აუცილებელი არ არის. თუ კლუბები საწევროს არ გადაიხდიან (იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია წესდებაში), მათ ხმის მიცემის უფლება არ ექნებათ.

ჩვენ ასევე ხაზს ვუსვამთ, რომ მნიშვნელოვანია უფლება-მოვალეობების წესდებაში, გენერალური ასამბლეის საბჭოში მკაფიოდ განსაზღვრა, რომ ყველა ასამბლეაზე ნათელი

იყოს, თუ რა არის განსახილველი, თან ვურთავთ FCI-ს წესდებას და რეგულაციებს, რომ საჭიროებისამებრ, იხელმძღვანელოთ.

საუკეთესო სურვილებით



იორ. ხინდსე

FCI-ს ევროპული სექციის პრეზიდენტი



ივ დე კლერკი

FCI -ს აღმასრულებელი დირექტორი



პატივცემულო საზოგადოება,

შევსწავლეთ რა მითითებული ინფორმაცია, გვსურს გავამახვილოთ ყურადღება შემდეგზე:

დაჟინებით მოვითხოვთ, რომ კენჭისყრა ჩატარდეს მოქმედი წესდების შესაბამისად. წესდებაში განსაზღვრულია 8 თუ 13 (8+5) წევრს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ბ-ნი ხინდზე ნებისმიერ შემთხვევაში ასამბლეას დაესწრება და გააკონტროლებს პროცედურას.

როგორც ამაზე შეხვედრაზე ითქვა, ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ყველა საკითხი დემოკრატიულად დასრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სკფ-ს მომავალი FCI-ში გარანტირებული ვერ იქნება. თუ კი ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ განვიხილავთ თქვენს განცხადებას FCI-ს სრული წევრობის მიღების შესახებ (დედლაინი: გენერალურ ასამბლეამდე 4 თვით ადრე, რომელიც ლაიპციგში 2017 წლის 7 ნოემბერს ჩატარდება).

დაბოლოს, მადლობელი ვიქნებით თუ თქვენს წევრებს გააცნობთ ამ წერილის შინაარსს, რომელიც გთხოვთ გადათარგმნოთ თქვენს ოფიციალურ ენებზე (ქართული და/ან რუსული) და გამოაქვეყნოთ ვებ-საიტზე.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

საუკეთესო სურვილებით

იორ. ხინდსე

FCI-ს ევროპული სექციის პრეზიდენტი&ნბსპ;

ივ დე კლერკი

FCI-ს აღმასრულებელი დირექტორი